**შპს „ჯარდელი“**

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

**შპს „ჯარდელი“** (ს/ნ 404868470) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2010 წლის 28 ივლისს. საწარმოს იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონი, ცაგარელის ქ. N 67.

| | |
|---|---|
| საწარმოს მფლობელები: | დანა ჯაკუპოვა -34 % |
| | აკილბეკ ჯარდემალიევ - 33 % |
| | თენგიზი ლომიძე - 33 % |

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით.
საქმიანობის არეალს წარმოადგენს: საზღვარგარეთის ქვეყნები.

2. მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად

საწარმოსათვის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული მესამე ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## 2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

## 2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.
საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

# 3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

## 3.1 აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი ,,მეწარმეთა შესახებ" და კანონი ,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, მსს ფასს სტანდარტებში, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა ,,სუპერფინ"-ში. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან.
მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურეობის სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის გადავადების უპირობო უფლება

ყველა დანარჩენ ვალდებულებას საწარმო გრძელვადიან კატეგორიას ეკუთვნის.

## 3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება ფინანსურ ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

## 3.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღირება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება.
შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

*შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:*

*შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან*

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება უკან დაბრუნენები.

*შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც:*

საწარმომ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადავიდა მყიდველზე. საწარმოს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შესაძლებელია შემოსავლისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

*შემოსავალი მომსახურებიდან*

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ მომსახურების სახეები დეტალურად არის მოცემული მე-6 შენიშვნაში.

3.4 იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად , სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საწარმოს იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად, ხოლო ქვეიჯარიან მიღებული შემოსავლები - შემოსავალში შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

3.5 ძირითადი საშუალებები

*აღიარება და შეფასება*

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

*ცვეთა*

ფასს-ის მიზნებისთვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით), რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისება. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია:

1. შენობებისთვის 50 წელი,
2. ავტომანქანებისთვის 15 წელი,
3. საოფისე აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკისთვის 6 წელი,
4. დანადგარებისთვის 15 წელი,
5. ავეჯისთვის 10 წელი.

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

*აღიარების შეწყვეტა*

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლობის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

## 3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის საპროცენტო განაკვეთში შეაგენს 15%-ს.

## 3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.
სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგი აისახება - მასალები, საწვავი, სათადარიგო ნაწილები და სხვა.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად.
ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტი შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.
*ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება*
ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:
ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, სავაჭრო და კრედიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.
გრძელვადიანი პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშგებით თარიღისათვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომელთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების.
ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე.
საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების , გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

*ფინანსური აქტივების გაუფასურება*

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა"), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა. საწარმო ჯგუფიდან აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას. აქტივების საბალანსე ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

## 3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღებისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

## 3.10 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი სამტატო განაკვეთების შესაბამისად, სანარდო ანაზღაურება.

## 3.11 კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალიგანსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

| *დასახელება* | *2021 წელი* |
|---|---|
| შემოსავალი | 4,323,652 ლარი |
| ძირითადი საშუალების რეალიზაცია | 0 ლარი |
| საქონლის რეალიზაცია | 4,323,652 ლარი |

5. რეალიზაციის თვითღირებულება

| *დასახელება* | *2021 წელი* |
|---|---|
| მასალების თვითღირებულება | 3,850,622 ლარი |
| ძირითადი საშუალების თვითღირებულება | 0 ლარი |

6. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი

| *დასახელება* | *2021 წელი* |
|---|---|
| ფართის იჯარა | 0 ლარი |
| მოგება ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან | 0 ლარი |
| საკურსო სხვაობით მიღებული სარგებელი | 1,641 ლარი |
| სხვა არასამეწარმეო შემოსავალი | 1961 ლარი |
| სულ: | 3,602 ლარი |

7. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები

| *დასახელება* | *2021 წელი* |
|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 191,790 ლარი |
| იჯარა | 4,068 ლარი |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები | 79,866 ლარი |
| სხვა სამეურნეო ხარჯი | 0 ლარი |
| მიწოდების ხარჯები | 14,001 ლარი |
| საკონსულტაციო ხარჯები | 137,934 ლარი |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 867 ლარი |
| საპენსიო ხარჯი | 4,558 ლარი |
| საპროცენტო ხარჯები | 0 ლარი |
| კურსთა შორის სხვაობის და სავალუტო გადაფასებიდან ხარჯი | 179,783 ლარი |
| სხვადასხვა ხარჯი | 4,103 ლარი |
| სულ: | 616,970 ლარი |

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის დროებითი განსხვავების გამო 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს გააჩნდა გადავადებული მოგების გადასახადო აქტივის სახით, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილების შედეგად შეიცვალა მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმი. შესაბამისად, მოგების გადასახადის აქტივის გამოყენების შესაძლებლობა მოისპო. საწარმომ აღნიშნული აქტივის ჩამოწერა ასახა მოგება-ზარალში.

8. ფინანსური ხარჯი

| *დასახელება* | *2021 წელი* |
|---|---|
| საპროცენტო ხარჯი ბანკის სესხზე | 0 ლარი |
| | |
| სულ: | 0 ლარი |

9. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლით. საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.
სრულად მონაწილების შემთხვევაში:

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას, ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი" აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი".

10. ფულადი სახსრების აღრიცხვა

საწარმოში ოპერაციები ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. მოქმედებს მცირე სალაროს სისტემა.

| ფულადი სახსრების მოძრაობა | | |
|---|---|---|
| | | |
| **ფულადი სახსრების მოძრაობა** | **31/12/2021** | **31/12/2020** |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 200 | 8958 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0 | 0 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0 | -21000 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | 200 | -12042 |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | -25219 | -29345 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 88768 | 130155 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 63749 | 88768 |

11. ანგარიში საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ

| საჩვენებლები | კოდი სტრიქონი | ნაშთი წლის დასაწყისში | შემოსულია წლის განმავლობაში | დახარჯულია წლის განმავლობაში | ნაშთი წლის ბოლოს |
|---|---|---|---|---|---|
| საწესდებო კაპიტალი | 010 | 279,288 | 0 | 0 | 279,288 |
| გაუნაწილებელი მოგება | 040 | 232,182 | (164,892) | 0 | 67,290 |
| დაუფარავი ზარალი | 050 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი (სტრ. 010+020+030+040-050) | 060 | 511,470 | (164,892) | 0 | 346,578 |

12. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად, მისი დეკლარირების მომენტში როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

13. ძირითადი საშუალებები

| # | საბალანსო ღირებულება | მიწა, შენიბა-ნაგებობები | მანქანა დანადგარები | საოფისე აღჭურვილობა | 1000 ლარს ზემოთ ძირითადი საშუალებები | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 31.12.2020 | 0 | 4,931 | 4,221 | 114 | 9,266 |
| | შეძენა (გადაფასება) | | | | | |
| | გასხვისება | | | | | |
| | ჩამოწერა | | (8,811) | | | (8,811) |
| | ცვეთა | 0 | 3,880 | (844) | (23) | 3013 |
| | | | | | | |
| | 31.12.2021 | 0 | 0 | 3,377 | 91 | 3,468 |

14. სასაქონლო მატერიალური მარაგები:

1. მასალები - 179,486 ლარი
2. საწვავი - 0 ლარი
3. სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები - 3,133 ლარი

   სულ: 182,619 ლარი

15. მიმდინარე ვალდებულებები
    1. სავაჭრო ვალდებულებები - 1,209,610 ლარი
    2. ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ - 0 ლარი
    3. საგადასახადო ვალდებულება - 30,171 ლარი
    4. სესხი - 0 ლარი
    5. სხვა ვალდებულებები - 8,462 ლარი

    სულ: 1,248,243 ლარი

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| (ლარი) | 2021 წელი |
|---|---|
| სავაჭრო მოთხოვნები | 1,230,560 ლარი |
| სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1,230,560 ლარი |

17. მარაგი

| (ლარი) | 2021 წელი |
|---|---|
| გადასაყიდად გამზადებული საქონელი | 114,349 ლარი |
| სულ გასაყიდი მარაგები | 114,349 ლარი |

18. დივიდენდის განაწილება

დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად, მისი დეკლარირების მომენტში როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება.

2021 წელს დივიდენდი არ გაცემულა.

19. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

| **ფინანსური მდგომარეობა** | **31/12/2021** | **31/12/2020** | **31/12/2019** |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 63749 | 88768 | 130155 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 1230560 | 793506 | 1027774 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 0 | 0 | 0 |
| მარაგები | 296968 | 766304 | 526339 |
| მზა პროდუქცია | 114349 | 503392 | 223728 |
| სხვა | 182619 | 262912 | 302611 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 | 0 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 0 | 82684 | 218658 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| თვითღირებულების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გადაფასების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 252 | 252 | 252 |
| ძირითადი საშუალებები | 3291 | 9088 | 6270 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 0 | 0 | 0 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| სულ აქტივები | 1594820 | 1740602 | 1909448 |
| **ვალდებულებები** | | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| საიჯარო ვალდებულება | 10800 | 6000 | 2000 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 1198810 | 1212540 | 1559944 |
| ანარიცხები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0 | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 30170 | 0 | 0 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 0 | 21000 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 0 | 0 |
| მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 8462 | 10592 | 8839 |
| სულ ვალდებულებები | 1248242 | 1229132 | 1591783 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 279288 | 279288 | 279288 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | 67290 | 232182 | 38377 |
| გადაფასების რეზერვი | 0 | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | 0 | 0 | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | 346578 | 511470 | 317665 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 1594820 | 1740602 | 1909448 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 1591277 | 1731320 | 1902876 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 1248242 | 1222733 | 1582944 |

20. საწარმოს საქმიანობის შედეგები:

| **საქმიანობის შედეგები** | **31/12/2021** | **31/12/2020** |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 4323652 | 3307101 |
| საქონლის გაყიდვიდან | 4323652 | 3307101 |
| მომსახურების გაწევიდან | 0 | 0 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| გაყიდვების თვითღირებულება | -3850622 | -2845202 |
| საწყისი მარაგები | 0 | 0 |
| მარაგების შესყიდვა | 0 | 0 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 0 | 0 |
| საერთო მოგება | 473030 | 461899 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 0 | 0 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -191790 | -214452 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -867 | -1419 |
| საპროცენტო შემოსავალი | 0 | 0 |
| საპროცენტო ხარჯი | 0 | 0 |
| იჯარის ხარჯი | -4068 | -6102 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -236359 | -165122 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -433084 | -387095 |
| საოპერაციო მოგება | 39946 | 74804 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | -178141 | 124893 |

| | | |
|---|---|---|
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | -137 | -5892 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | -138332 | 193805 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 0 | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | -138332 | 193805 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | 0 | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | -138332 | 193805 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 511470 | 317665 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 0 | 0 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | -26560 | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 346578 | 511470 |

შპს „ჯარდელი“-ს დირექტორი:

/ მამუკა გვალია /